ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ოსკარის“ დამატება
№ 3
ფასი 40 თ.
6 თებერვალი, 2003 წ.

# ფან-კლუბი

შეხვდი ქეთა თოფურიას პირისპირ „ფან-კლუბის“ დახმარებით. წაიკითხე მე-16 გვერდზე

შეცვალა თუ არა დოჯახებამ ირაკლი ნოზაძე?

ვისი გულისთვის შესწირავს თავს დათო ხუჯაძე?

როგორი გოგონები მოსწონს ზურა ხაჩიძეს?

როდის გამოვა ნინის ახალი ალბომი?

რომელ კლასშია ნინი ბადურაშვილი?

რატომ დაშორდნენ ბრიტნი და ჯასტინი!

თამაშდება სიყვარულის დღეს დაგეგმილი კონცერტის ბილეთები, რომელიც სპორტის სასახლეში გაიმართება!

# კითხვა-პასუხი

**რ**ატომ არ შევიდა ლელას არც ერთ ალბომში სიმღერა „სიზმარის“ რუსული ვარიანტი?

ნატო, 14 წლის

– ეს სიმღერა რუსული ბაზრისთვისაა გათვალისწინებული და ალბათ, მომღერალი მას რუსულენოვან ალბომში შეიტანს.

**შ**ეიძლება თუ არა, რომ პაატამ გამომძიებელი ცოლი შეირთოს?

პაატა: – არა, გამომძიებელს არ შევირთავ. არ მიყვარს ამ სფეროში მომუშავე ხალხი, მით უმეტეს ცოლი, არანაირად არ მეყოლება გამომძიებელი.

**ბ**აზეთი “ფან-კლუბი” ჟურნალ “ოსკარის” დამატებაა. რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. ჟურნალში მოყვანილი ჭორებისა და კულუარული ინფორმაციის შესახებ რედაქცია პასუხს არ აგებს.


მთ. რედაქტორი: ნოდარ მელაძე.
რედაქტორის მოადგილე: თამუნა გონგაძე.
ჟურნალისტები: ნინო კუტალაძე, თამთა მჭედლიშვილი.



გაზეთში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვის შემთხვევაში „ფან-კლუბის“ მოხსენიება აუცილებელია.


**ს**ტეფანე, გყავს თუ არა შეყვარებული?

ლიკა, 18 წლის

სტეფანე: – შეყვარებული არ მყავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არავინ მყავს.

**მ**აინტერესებს დათოს საყვარელი მომღერალი და მსახიობი.

თამუნა ტრაპაიძე, 14 წლის

დათო: - მომღერალი ბენსონი, მსახიობი კი – ჰარისონ ფორდი.

**რ**ოგორი გოგონები მოსწონს ზურა ხაჩიძეს?

დეიკო, 15 წლის



ზურა: კონკრეტულად მნიშვნელობა არა აქვს როგორი გარეგნობა ექნება. მთავარია, ხასიათით მომეწონოს და ერთმანეთს გავუგოთ.

**მ**ართალია თუ არა, რომ ბუკას ძმაც ამღერებას აპირებს?

– ბუკას ძმა ფეხბურთელია და ალბათ, წარმოუდგენელია მისი სიმღერა. მას თავისი პროფესია ძალიან უყვარს.

**ი**რაკლი, კითხულობ შენი ფანების ლექსებს და წერილებს?

ირაკლი: – როგორ არა, ყველაფერს ვკითხულობ და დიდი მადლობა სიყვარულისთვის.

**რ**ომელ კლასშია ნინი ბადურაშვილი?

თამთა, 13 წლის

ნინი: მე 11-ე კლასში ვსწავლობ.

**ვ**ელა, როგორი ამინდი მოგწონს?

ნანიკო, 12 წლის

ლელა: – მომწონს მზიანი ამინდი, ზაფხული მიყვარს, ზღვაზე ვგიჟდები.

**ბ**ამოვა თუ არა ნინი ქარსელაძის ალბომი?

ირაკლი, 17 წლის

– ნინი ამ დროისათვის ალბომზე მუშაობს და შეიძლება მისი პირველი კასეტა მომღერლის დაბადების დღეზე – აპრილში გამოვიდეს.

**გ**ადაიღებს თუ არა კლიპს ქეთა?

ქეთა: – მე ამჟამად ვიწყებ კლიპის გადაღებას “ინტროსთან” დუეტზე.

**ს**ად შეიძლება სტეფანეს ნახვა?

სტეფანე: – არსად!!!

# კითხვა-პასუხი

**რ**ოდის გამოვა „ქუჩის ბიჭების“ II სოლო კონცერტის ვიდეოკასეტა?

– “ბიჭების” II სოლო კონცერტის ვიდეოკასეტა უკვე კარგა ხანია გამოსულია.

**რ**ატომ არ უშვებენ პირველ სტერეოზე იმ მომღერალთა კლიპებს, რომლებიც „არტ-იმედში“ არიან გაერთიანებულები?

დათო, 13 წლის

– ტელეკომპანია პირველ სტერეოსა და საპროდიუსერო კომპანია „არტ-იმედს“ არ გააჩნიათ ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს „არტ-იმედის“ ვარსკვლავების კლიპების გაშვებას პირველი სტერეოს ეთერში.

**რ**ომელი ფერი სჭარბობს ზურა, შენს გარდერობში?

შენი ფანი ნინო, 16 წლის

ზურა: – ნინო ჩემს გარდერობში შედარებით მუქი ფერები სჭარბობს, მათ შორის შავი, რუხი და ლურჯი.

**რ**ოდის არის ლელას დაბადების დღე?

გვანცა მაჩაიძე, 13 წლის

– ლელა 12 თებერვალსაა დაბადებული.

**ს**ად შეიძლება გურამ ლომიძის ნახვა?

ია, 16 წლის

– გურამს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. აქედან გამომდინარე, იგი ვერ მოახერხებს ყველასთან სათითაოდ შეხვედრას. თქვენ მისი ნახვის საშუალება ან კონცერტზე გექნებათ, ანდა მოგიწევთ დალოდოთ „ფან-კლუბს“, რადგანაც უახლოეს მომავალში ჩვენ ვგეგმავთ „ქუჩის ბიჭების“ მოწვევას.

**„ე**მის“ გოგონებიდან რომელია უფროსი?

თინიკო, 14 წლის

– უფროსია ეკა, რომელიც 1978 წელსაა დაბადებული.

**მ**აინტერესებს, ვისი ანრისი გულისთვის შესწირავს დათო ხუჯაძე თავს?

თამუნა, 14 წლის

დათო: – ისევ და ისევ ხელოვნებისთვის.

**ვ**ინ აფინანსებს თიკა ჯამბურიას?

ნინი, 11 წლის

– თიკას მისი მშობლები აფინანსებენ, თუმცა მას სპონსორებიც ჰყავს. აი, მაგალითად, თიკასა და ვლადიმერ პრესნიაკოვის დუეტის ჩაწერა მეცენატმა ნაული ჯანაშიამ დააფინანსა.

**რ**ომელი სკოლა დაამთავრა ჯაბა კილაძემ?

ჯაბა: მე დავამთავრე 68-ე სკოლა, რომელიც “კოლმეურნეობის” მოედანზეა.

## ჭრელა-ჭრელა ამბები

### ერთვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფი „ემის“ უფროსი წევრი ეკა, ისეთ გემრიელ ტოლმას ამზადებს, რომ ჭამისას თითებს მიატან. მომღერალს შეუძლია სამზარეულოში მთელი დღე ისე იფუსფუსოს, დალლა არც კი იგრძნოს. ეს გოგონებმა გადაცემა „თინეიჯერში“ აღნიშნეს. ერთხელ, როდესაც ბენზინ გასამართ სადგურზე შეიარეს მანქანით, ბიჭს, რომელიც ბენზინს უსხამდა, უკითხავს, გოგონებო ტოლმაზე ხომ არ მიდიხართო. ეკამ და იამ ერთმანეთს გადახედეს და მხოლოდ მაშინ მიხვდნენ ბიჭის ხუმრობას, გადაცემა რომ გაიხსენეს.



ზუკა ხუციშვილი, რომელიც თავისი მრავალმხრივი ნიჭით ხშირად გვაოცებს, თურმე, მათემატიკაში ცოტა არ იყოს და მოიკოჭლებს. პატარა მომღერალს ამ საგანში სამიანი გამოჰყოლია, რომ გითხრათ, იგი ძალზედ განიცდის ამ ამბავს, მოგატყუებთ. ეტყობა ზუკა სხვა საქმით უფროა გართული და დაინტერესებული, ვიდრე ამ ტექნიკური საგნის შესწავლით.

მარიკა თხელიძეს თავის ოთახში პატარა დასაკეცი ხატი აქვს, რომელიც საწოლის თავზე აქვს გაკრული. ამ ხატს მარიკა კონცერტებსა და ფესტივალებზე ატარებს. მომღერალი თვლის, რომ ხატი მისი მფარველია და სწორედ მისი წყალობით გამოდის იგი ყველა ფესტივალიდან და კონკურსიდან გამარჯვებული.

## ჭრიჭლა-ჭრიჭლა ამბები

თურმე, შოუ-ბალეტ „ვერნისაჟის“ ხელმძღვანელი თეა გობეჯიშვილი, ცეკვებს ღამ-ღამობით, გონებაში დგამს ხოლმე. როცა რაღაც შეკვეთა აქვს და თანაც მუსიკაც ძალიან მოსწონს, ისე ვერ დაიძინებს და ვერ მოისვენებს, თუკი ზეპირად ბოლომდე არ დადგა ცეკვა. მეორე დღეს, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, თეას შესანიშნავად ახსოვს წინა ღამით გონებაში დადგმული ცეკვა.

თურმე, ნინო ქათამაძეს ოცნებაში ჰქონია დიდი სახლი, რომელშიც ერთად იცხოვრებდნენ ჯგუფ „ინსაითის“ წევრები. როგორც მომღერალმა აღნიშნა, ასე უფრო ნაყოფიერად და უფრო მეტი ენთუზიაზმით შეიქმნებოდა მათი მუსიკა, რომელიც ამჟამად სპონტანურად იწერება, ხან სად და ხან სად. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მატარებელშიც კი შექმნილა „ინსაითის“ მუსიკა.

თურმე, ჯგუფი „ინტრო“ მეორე კლიპის გადაღებას ისევ გიორგი რამიშვილთან აპირებს. როგორც სანდო წყაროებიდან გავიგეთ, კლიპი ისეთივე ორიგინალური იქნება, როგორიც ბიჭების პირველი ვიდეო რგოლი იყო. წინასწარ მხოლოდ იმას გაგიმხელთ, რომ „ინტრო“ ამჯერად გამოქვაბულიდან დაიწყებს სიმღერას. ეს, ალბათ, უკვე საინტერესო დასაწყისია.

# ილევ მენატრები ჩემო საყვარელო

გამარჯობა „ფანკლუბელებო“, როგორ გიკითხოთ? გისურვებთ ყოველივე კარგს და დიდძალ წარმატებებს.

ჩემი წერილი ლელას ეხება.

ლელა ძალიან მიყვარხარ, მე შენი ფანი ვარ. მე ბევრი შენი პლაკატი მაქვს, ეს იმის ნიშანია რომ ძალიან მიყვარხარ და დიდ პატივს გცემ, გთხოვ მომიტევო და მირჩიო რამე, რადგან შენს სიყვარულს ვეღარ ვემალები, შენ სიმღერებს რომ ვუსმენ ტანში ჟრუანტელი მივლის. შენ ჩემი გული შენი სიმღერით დაიპყრე და რომ მიმღეროდი Sambas მე გული ჰაერში მიფრიალებდა, შენი ხმა ჩემთვის წამალია, იმდენად შემაყვარე თავი რომ სიზმარშიც კი შენს სახელს ვყვირი, ლელა მიყვარხარ და მეყვარები, ლელა გემშვიდობები კეთილი სურვილებით. გისურვებ დიდ წარმატებებს შოუ-ბიზნესში.

დიდი სიყვარულით,

**ნანა ხარშილაძე,**
**13 წლის**
**გაგიჟებული ფანი**
*(სტილი დაცულია)*

# „ოცნების ზეცას ახატია თვალები შენი“

გამარჯობა ძვირფასო „ფანკლუბელებო“ და „ოსკარელებო“. დიდი მადლობა მინდა მოგიხადოთ იმისათვის, რომ ჩემი წერილები უყურადღებოდ არ დატოვეთ და გამოაქვეყნეთ, მგონი ახლაც არ დამაღალატებთ.

ზურა, ალბათ, უკვე მოგაბეზრე თავი, მაგრამ რა ვქნა, ძალიან მიყვარხარ. მხოლოდ ამ ჟურნალით მეძლევა საშუალება, რომ გითხრა თუ როგორ მიყვარხარ. არ ვიცი რა ვქნა, რამდენჯერ მითქვია ჩემი თავისთვის: „სულელო ეს ხომ აუხდენელი ოცნებაა, ის შენი არასოდეს იქნება, შენზე არასოდეს იფიქრებს, დაივიწყე!“ არ გამომდის შენი დავიწყება. არ თენდება დღე შენზე რომ არ ვიფიქრო, არ არის ღამე შენ რომ არ დამესიზმრო, მოკლედ რომ გითხრა, შენით ვცოცხლობ, შენით ვარსებობ და ვსუნთქავ. მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად, სავსეა გული შენი სიყვარულით. დედა მეუბნება, შენთვის ჯერ ადრეა ასეთი დარდი და ასეთი ტანჯვაო, მაგრამ ვინ უსმენს, ვინ აქცევს ყურადღებას. იმდენი მაქვს სათქმელი, მთელი მსოფლიოს ფურცლები რომ მომცენ იმაზე არ დაეტევა.

არ ვიცი შენ კითხულობ თუ არა ამ წერილებს, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ერთი თვალით მაინც გადახედავ ამ პატარა გოგოს ნაწერს, რომელსაც ერთი ოცნება აჟვს ცხოვრებაში, ახლოს გაგიცნოს და ნახოს შენი ღამაზი თვალები და შენი სახის ყოველი ღამაზი ნაკვთი.

წერილების წერა არ მჩვევია, მაგრამ შენმა სიყვარულმა ესეც მასწავლა, ბიჭის გულისათვის თვალები არასოდეს დამწითლებია ტირილით, ესეც შენმა სიყვარულმა მასწავლა. არ ვიცი რა ვიღონო, როგორ მოვიქცე, რომ ავიხდინო ოცნება, ეს ოცნება ხომ შენი გაცნობაა. დიდი მადლობა მინდა მოგიხადო იმისათვის, რომ არსებობ და მაცოცხლებ. ეს ყველაფერი შენი დამსახურებაა.

... როგორც ყოველთვის, წუხანდელი ღამეც შენზე ფიქრში გავატარე. როგორ მინდა რომ დაგივიწყო, მაგრამ ვერ შევძელი ჩემდაუნებურად ამოტივტივდები ხოლმე მეხსიერებაში, რა აუტანელი და ძნელი ყოფილა ყოველივე... შენ იღიმები, ვიცი არ გჯერა, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასეა. მინდა შენზე აღარ ვიფიქრო, მაგრამ ჩემს არსებაში ჩაბუდებული „ვიღაც“, განაგებს მთელ ჩემს სულს და სწორედ ეს „ვიღაც“ არ მაძლევს შენი დავიწყების საშუალებას... და ამაში უბედურება ისაა, რომ მე ვერასდროს დაგივიწყებ, შენ კი... ვინ იცის!

**„რად მინდა სხვა ხატი**
**ან სხვა სალოცავი**
**როცა ყველაფერი შენი თვალებია“...**

**„რას გიყურებ? სურთ**

## ზურა ხაჩიძეს

**ამ თვალებს უმეცართ,**
**შეამჩნიონ ნაკლიცა და მშვენებაც**
**თორემ თუკი შემიყვარდი უეცრად,**
**ყველაფერი კარგად მომეჩვენება“.**

**„სასწაულების არ მჯერა მაგრამ,**
**ხომ შეიძლება ახალი წლის ღამეს**
**გამომაღვიძოს შენმა ჩურჩულმა**
**„თოვლი მოსულა“.**

*ზურა ზე შეყვარებული*
*და „ქუჩის ბიჭების“ ფანი*
**ნინო, 16 წლის**
*(სტილი დაცულია)*

# რაც შენი ხმა გავიგე, დავიბენი და შემიყვარდი



გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო“, გისურვებთ დიდ წარმატებებს და დიდძალ სიყვარულს. გეხვეწებით, ნუ დამტოვებთ უყურადღებოდ, ძალიან გამიხარდა ახალი გაზეთი, „ფან-კლუბი“. ჩემი წერილი ბუკას ეხება.

ბუკა ჩემო საყვარელო, შენი სილამაზე მხიბლავს, საოცარი ხმა გაქვს, ყველანაირ კოსტიუმს იხდენ, შენი სილამაზე მაოგნებს, ისეთი ლამაზი ხარ. შენ სილამაზე დედიკომ გაჩუქა, მინდა გიყვარდე, გინდა მიყვარდე, მიყვარხარ კიდეც ჩემო ბუკა!

ვიტყვი თამამად, რომ შენ ყველაზე მიმზიდველი, ლამაზი და მომხიბვლელი მომღერალი ხარ.

შენ ჩემო ლამაზო, ბევრი ფანი გყავს, ამაში დარწმუნებული ვარ როგორც 2X2=4-ია, მე ყველაზე ძალიან მიყვარხარ, როცა შენს სიმღერას ვუსმენ ყვავილების თოვლი მოდის, რატომ შემაყვარე თავი ასე ძლიერ? რადგან შემაყვარე დაე, იყოს ნება ღმერთისა – მიყვარდე. მეყვარები სიცოცხლის ბოლო წუთამდე. შემთხვევით კონცერტზე ახლო-მახლო რომ ვიყო, უზარმაზარ თაიგულს გესროდი. თუ ქალაქში სიმშვიდეა შენც პატარა მოციმციმე ვარსკვლავივით იბრწყინებ ცაზე. ერთ კომენტარსაც გავაკეთებ, მე რეგულარულად ვყიდულობ ჟურნალ „ოსკარს“ და „ფან-კლუბს“ და ყოველთვის ჩემი მოგვარე ბესო ფილიევის სახელი და გვარი მხვდება თვალში, ეგ ადამიანი ჩემი ნათესავი, რომ იყოს ან ახლობელი ძალიან მხურვალედ ჩავეხუტებოდი რადგან, ერთნაირად გვიყვარს ვარსკვლავები. ასე რომ, ბუკა დიდი კეთილი სურვილებით გემშვიდობები. ბუკა, მირჩიე რამე გთხოვ გულით.

ძლიერ შეყვარებული ვარსკვლავზე – ბუკა მანაგაძეზე

**ლელა ფილიევი, 13 წლის**

*(სტილი დაცულია)*

# წერილი გურამ ლომიძეს



გამარჯობა „ფან-კლუბელებო“ და „ოსკარელებო“. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და მინდა გითხრათ, რომ ყველაფერი მშვენივრად გამოგდით. დიდ მადლობას გიხდით ყველას ასეთი მშვენიერი ჟურნალის არსებობისთვის. ყოველთვის მინდოდა თქვენთვის წერილი მომეწერა და გამომეხატა ის რაც ჩემს გულში ტრიალებს.

მე მინდა ამ წერილის მეშვეობით გამოვხატო დიდი სიმპათია გურამ ლომიძესადმი. არ ვიცი მასში რა ვიპოვე იმისთანა, რომ ასე მაგიჟებს. გურამს რომ ვხედავ კანკალი მიტანს და გამუდმებით ვიმეორებ: „ჩემი გურამი, ჩემი გურამი, ღმერთო, მან რომ იცოდეს როგორ მიყვარს“. მერე კი მისი სახე მიდგას თვალწინ მთელი დღე.

ხანდახან ავიღებ „ქუჩის ბიჭების“ პლაკატს და გურამის სახეს ვეფერები. იგი სიზმარშიც ხშირად მახსენებს თავს. მე მას ვუახლოვდები, მინდა ვუთხრა რომ უსაზღვროდ მიყვარს და მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია, მაგრამ ვერ ვბედავ, რადგან მის დანახვაზე ენა მივარდება. ბოლოს მაინც ვახერხებ და ვეუბნები, რომ მე ის ძალიან, ძალიან მიყვარს.

ვიცი გურამს როგორ უყვარს თავისი ცოლ-შვილი. ერთხელ, ჩემი თვალით ვნახე როგორ ეფერებოდა ნიკუშას. ორივე ისეთი სასიამოვნო სანახავი იყო, რომ გული სიხარულით ამევსო. მე მინდა რომ გურამმა ტკბილად იცხოვროს თავის ოჯახთან ერთად. ვუსურვებ დიდ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და უსაზღვრო სიყვარულს.

ერთი თხოვნა მექნება თქვენთან, ძალიან გთხოვთ, გურამ ლომიძის პლაკატი გამოაქვეყნოთ. დამიჯერეთ, ამით ბევრს გაახარებთ, მათ შორის მეც.

„განა ვსტირი? – არა წვიმა შემხვდა გზაში
სინამდვილე ოცნებაშიც ჩემში სძლია
ავქვითინდე? – არავითარ შემთხვევაში
სიყვარული, სიყვარული უცრემლოდაც შემიძლია“.

**მაია, 15 წლის**

*(სტილი დაცულია)*

## ჭრელა-ჭრელა ამბები




თამთა გოგუაძე წარმოშობით გურიიდანაა. გასულ წელს იგი თავის სოფელში იყო ჩასული, სადაც ფანების ჯგუფი ყოველდღე ეხვეოდა და მოსვენებას არ აძლევდა. თამთაც ძალაუნებურად კონტაქტობდა გურულ თაყვანისმცემლებთან. თურმე, რამდენიმე მათგანმა წერილებით დაიწყო თამთასთან ურთიერთობა. აი, როგორ უცნაურად იქცევიან ზოგჯერ ფანები.

სალომე გასვიანი თავისი დების გჯრთობის ობიექტი ყოფილა. თურმე, უფროსი დაიკოები სალომეს თავისი გემოვნებით აცმევენ. მომღერალიც იფერებს დების ასეთ „სამსახურს“ და ხან რა პრეტენზიებით მიმართავს მათ და ხან რა. მომღერალს უმცროსი ძმაც ჰყავს, რომელთანაც ხშირად ჩხუბობს ხოლმე.



აჩი ფურცხლაძეს უცნაური მენიუ აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ერთმანეთთან შეუთავსებელ საჭმელს მიირთმევს ხოლმე. მომღერალსა და დიჯეის შეუძლია ერთად მიირთვას – ნამცხვარი „ზებრა“ და კეტჩუპი, ყველი და ტორტი. ერთხელ, აჩის ნამცხვარ „შუზე“ ტყემალიც კი მიუყოლებია. რას არ გაიგებს კაცი, ასეთ უცნაურობებსაც წავაწყდებით ხოლმე ხანდახან.

## „სიყვარული ის ერთადერთი ზღაპარია, რომელიც კი არ ინყება, არამედ მთავრდება სიტყვებით „იყო და არა იყო რა“

### ჩემს სიცოცხლეს – გურამ ლომიძეს

გამარჯობა „ფან-კლუბელე-ბო“, ანუ „ოსკარელებო“, ყველა-ნი ძალიან მიყვარხართ. დიდი მადლობა ესეთი მშვენიერი ჟურ-ნალებისთვის. იმედია, ჩემს პირ-ველ წერილს გამომიქვეყნებთ. მე მინდა თქვენი ჟურნალის საშუა-ლებით ჩემს სიცოცხლეს გურამ ლომიძეს აუხსნა სიყვარული.

გურამ! შენ ჩემი მთელი ცხოვრება ხარ, შენი მზერა მაგი-ჟებს, შენი სევდიანი თვალები ძა-ლიან მასევდიანებს. მინდა გითხრა რომ ღიმილი ძალიან გიხდება, ხშირად გაიღიმე და მეც გამახარე ამით.



ვცდილობ შენს ყველა კონ-ცერტს დავესწრო და რაც შეიძ-ლება ახლოს ვიყო შენთან, მაგ-რამ ახლოს ვერ გეკარები, რად-გან ვიცი, რომ შენ სხვისი ხარ. იმედია ხატიასთან ბედნიერი ხარ, თორემ შენ რომ უბედური იყო, მეც შენთან ერთად ვიქნებო-დი უბედური. რომ იცოდე შენი ანგელოზი ნიკუშა როგორ მიყ-ვარს, ალბათ, ჩემზე იტყოდი, ესეთი პატარაა და რამდენი სიყ-ვარული შეუძლიაო?!

ხატია შამუგიასაც ძალიან დიდ პატივს ვცემ, რადგან ის შე-ნი რჩეულია. მინდა გისურვო ძა-ლიან დიდი ბედნიერება და წარ-მატება შენს საქმიანობაში.

მე მთელი სულით და გულით შენთან ვარ და „შენთან ვიქნები“. ჩემო კარგო არ დაგავიწყდეს სიზმარშიც უფრო ხშირად შემახ-სენე თავი, რომ ამით მაინც გა-ვერთო და თავი ვინუგეშო.

„ეკლესიაში შევედი ჩუმად
ავანთე წმინდა სანთელი
მინდოდა მეთქვა წმინდა
გიორგი
მაგრამ წამომცდა შენი
სახელი“.

და კიდევ „გეტყვი ერთს“ სი-ცოცხლეზე მეტად მიყვარხარ.

*დიდი სიყვარულით*
მაია, 15 წლის
*(სტილი დაცულია)*

## „უსაყვარლესი ცეცხლიდან და ისიც ცეცხლის“... დათო ხუჯაძეს



გამარჯობა ძვირფასო „ფან-კლუბელებო“ და „ოსკარელებო“. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და დიდ პატივს გცემთ, ეს ჩემი პირ-ველი წერილია და გთხოვთ უყუ-რადღებოთ არ დამიტოვოთ. მინდა პირველი წერილი დათო ხუჯაძეს გავუგზავნო. დათო, მე შენ ძალიან მიყვარხარ, რა თქმა უნდა შენს სიმ-ღერებთან ერთად. დიდი ხანია შენ-თან შეხვედრას ვოცნებობ, მაგრამ ეს ფიქრი ამაოა. როდესაც ეკრანზე მღერი და გიყურებ სიხარულის ცრემლები მადგება თვალებზე, შე-ნით ვამაყობ. ეს წერილი სიყვარუ-ლის გამოსახატავად პატარაა, მაგ-რამ მეტის თქმა არ შემიძლია.

„ვიცი არასდროს მეღირსება
ღიმილი შენი,
ვიცი არასდროს დაგინახავ,
მაგრამ
მე მაინც ჯიუტად ვამბობ, რომ
მხოლოდ შენი თვალები
მიყვარს.
სანთლებს ავანთებ და ღმერთს
ვავედრებ სიცოცხლეს შენსას.
შორიდან გლოცავ და

### მიყვარხარ მთვარემდე

სიყვარულს გიგზავნი რიშანს,
მჯერა დამალუპავ და ამიბნევ
ცხოვრების გზა-კვალს, და
მაინც ვამბობ
რომ მხოლოდ შენი სიმღერა
მიყვარს.
ლოცვად აწვდილი თვალები
ჩემი
შენ გეძებს მხოლოდ მე
შენ გინამე,
თუმც არ გინათებ
ცხოვრების
ცისკარს, ასი წლის
მერე რომ შემეკითხონ ჩემს
სიყვარულზე
მე ისევ ვიტყვი, რომ ახლაც
შენი
ხატება მიყვარს“.

დიდი მადლობა
„ფან-კლუბს“
ნატო, 15 წლის
*(სტილი დაცულია)*

## „როგორ მინდა მოგეფერო, მაგრამ შენ ჩემთან არ ხარ“

Hello – „ფან-კლუბელებო“, მიყ-ვარხართ, გკოცნით და გეხვევით. დიდი მადლობა ასეთი ფასდაუდე-ბელი სიკეთისათვის, რომელსაც თქვენ გვჩუქნით ჩვენ, ერთი სიტყვით, თამუნა გონგაძეს დიდი სიყვარულით ვესალმები. ჩემი წე-რილი უსაყვარლეს, უმშვენიერეს ქალბატონს – ლამაზს, სათუთ პი-როვნებას, ლელა წურწუმიას ეხება.

გამარჯობა ლელა! როგორ ხარ? ჩემო სიცოცხლევ, ჩემო საყვარელო, მიყვარხარ შენზე ვგიჟდები, შენ ჩემს გულზე ხარ მიკერებული და არავინ და ვერავინ შეძლებს შენი ჩემს გული-დან ამოგლეჯას. როდესაც ტელევი-ზორში მღერიხარ სიჩუმეს ვთხოვ გა-რეშემო მყოფთ. არ მინდა მარტო ვიჯ-დე, იმიტომ რომ სულ შენზე ვოცნე-ბობ და ვიცი, რომ ჯერჯერობით ეს ოცნება ამაოა. როდესაც ვინმესთან საქმეზე ვსაუბრობ ინსტინქტურად წამომცდება ხოლმე ლელა-მეთქი. ლელა სიყვარული შენ მაჩუქე, მე მთელი ჩემი სულით და გულით შენ-თან ვარ, მარტო ჩემი სხეული არის აქ. შენ ჩემი გულის კარები სიმღერ-სიმ-ღერით შემოაღე, იმ სიმღერით რო-მელსაც Samba ჰქვია. ცხოვრება მართლაც რომ ზღაპარია, სიყვარუ-ლით მოდის და მიდის, მაგრამ ჩემი შენდამი სიყვარული არასდროს არ წავა. ლელა იმდენს დავწერ სანამ რჩევას არ მომცემ, გულით გთხოვ ჟურნალის მეშვეობით მირჩიე რამე. ოხ! ლელა შენი ტელეფონის ნომერი რომ ვიცოდე, დაგირეკავდი და გეტყოდი, ძალიან მიყვარხარ, ლელა მირჩიე რამე ძალიან გთხოვ. ლელა შენ გენაცვალე, შენს სიყვარულს თუ ავწონი მთელ დედამიწაზე მძიმე იქ-ნება, ვერც გავიგე როგორ შემიყვარ-

დი. ლელა შენს მარიკოს ვენაცვალე, დიდი გოგონა გაიზარდოს და შენსა-ვით ვარსკვლავი გამოსულიყოს, მთე-ლი შენი ოჯახი მიყვარს, ლელა მიყ-ვარხარ და მირჩიე რამე, ლელა წურ-წუმია ჩემი სიზმრის სათაური ლე-ლა I lov ouy ლელა, კეთილი სურ-ვილებით გემშვიდობები.

„სევდიან ქუჩებში
დავდივარ მარტო
მარტო ვარ და შენზე
ვფიქრობ, კვლავ
ვერ გხედავ და ვოცნებობ ამაოდ
საოცარი გრძნობა
დამეუფლა კვლავ“
„აი რა ყოფილა ფანის
როლში ყოფნა
გეტყვით რომ სიყვარული
ძნელია
და იმის შესრულება
რაც გინდა მისგან
და ვერ ხედავ ლელა
წურწუმიას“
„ლელა თუკი ჩემდამი
სიყვარულს იგრძნობ
გთხოვ მირჩიე რამე და
ჩემი მეგობრების
გულის გასახეთქად
მომესალმე“.

დიდი სიყვარულით, უზომოდ შეყვარებული, გაგიჟებული, ძველი ნაცნობი ფანი
ბესო ფილიევი, 14 წლის
*(სტილი დაცულია)*


**14 თებერვალი. სპორტის სასახლე**

**გრანდიოზული კონცერტი ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით. შეხვდი სიყვარულის დღეს შენთვის საყვარელ ვარსკვლავებთან ერთად.**

# კითხვა-პასუხი

**რ**ა პროფესიისაა ზურა ხაჩიძის მამა?
დათო, 14 წლის



– ზურას მამა პროფესიით მუსიკოსია. თუმცა, ამჟამად მძღოლად მუშაობს.

**მ**ართალია თუ არა, რომ დათო ხუჯაძე და ქეთა თოფურია შეყვარებულები არიან?
ეკა, 30 წლის

– როგორც ქეთამ ჟურნალ „ოსკარს" განუცხადა, მისი და დათოს ურთიერთობა არავის საქმე არ არის. აქედან გამომდინარე, დასკვნების გაკეთება თავად თქვენ მოგიწევთ.

**მ**აინტერესებს, იღებს თუ არა თეა გოგეჯიშვილი მოსწავლეებს და რა ფასად ამზადებს მათ?!
ზურა, 16 წლის



– თეას აქვს სტუდია "ვერნისაჟი", გარდა ამისა, მას ჰყავს მოსწავლეების რამდენიმე კლასი, მათ შორის მოყვარულების, პროფესიონალების და დამწყებების. გაკვეთილის ფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ჯგუფში ამზადებს მოსწავლეს.

**ლ**ელა, რომელია შენი საყვარელი ჯინსის მარკა?
ზიზი, 14 წლის

ლელა: – საერთოდ, ჯინსი ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით კი "დოლჩე და გაბანას" ჯინსი მომწონს.

**რ**ამდენი წლისაა გურამ ლომიძე?
თათია, 12 წლის



გურამი: მე 22 წლის ვარ.

**რ**ომელ სექტემბერს არის პაატა დაბადებული?
თინიკო, 16 წლის

– პაატა 14 სექტემბერსაა დაბადებული.

**რ**ითი შეიცვალა დაოჯახების შემდეგ „პიკასო"?
ლელა, 17 წლის

ირაკლი: – არაფრით არ შევცვლილვარ, პირიქით, საქმისადმი უფრო მობილიზებული ვარ.

**ვ**ინ გადაიღო სტეფანეს ახალი კლიპი?
გელა, 17 წლის



– სტეფანეს ახალი კლიპის რეჟისორი ნესტან სინჯიკაშვილია.

**დ**ათო, რომელია შენი საყვარელი დღესასწაული?
თამუნა ტრაპაიძე, 14 წლის



დათო: – ჩემი დაბადების დღე და ქრისტეშობა.

## ჭორულა-ჭორულა ამბები

თინეიჯერი მომღერალი ქრისტინე იმედაძე იმდენად უცნაური ყოფილა, რომ ხშირად მას ვერავინ უგებს. მომღერალს ძალიან უყვარს სასაფლაოზე სეირნობა. იგი თავის მეგობარ გოგონასთან ერთად სპეციალურად მიდის ამ „უცნაურ ადგილას" და ცალ-ცალკე სეირნობის შემდეგ ხვდებიან ერთმანეთს. ქრისტინეს თქმით, აქ უდიდეს სიმშვიდეს პოულობს. მომღერალი ასევე ხშირად ტირის სარკის წინაც და მერე აკვირდება თავის თავს, როგორ უფრო უხდება ტირილი. ბოლოს უკვე ისე იპრანჭება და ისე მსახიობობს, რომ ავიწყდება, რისთვის ტიროდა.

მამუკა ონაშვილს ძალიან ჰყვარებია ქუჩაში შეძენილი ხაჭაპურის და ლვეზელის ჭამა. თურმე, მომღერალი ისე მადიანად შეექცევა ცომეულს, თითქოს შინ გამომცხვარი იყოს. როგორც მამუკამ აღნიშნა, ქუჩაში შეძენილ ლვეზელს სულ „სხვა" გემო აქვს.

ზურასა და პაატას ძალიან უყვართ პოეზიის კითხვა. ბიჭები ხშირად კითხულობენ გალაკტიონს, ტერენტი გრანელსა და ლადო ასათიანს. პირადად, ზურა, გრიპისა და ლოგინში წოლის დროს, რამდენიმეჯერ გადაიკითხავს ხოლმე დიდი გალაკტიონის კრებულს და ამით იღებს უზომო სიამოვნებას. პაატას სიგიჟემდე მოსწონს გრანელის შემოქმედება და თვლის, რომ იგი მისი სულის მალამოა.

# უიმე, უიმე, რატომ ვარ ცოცხალი?!

– რაცხა მგონია, რომ დღევანდელმა ახალგაზრდებმა სიყვარული არ იციან. ისე ერთი ხელის მოსმით შეუძლიათ ერთმანეთის შეყვარება და მერე გადაყვარება, რომ მათ შემხედვარეს გულის მარჯვენა სარქველი მიჭრიალებს და ნაოჭებს შორის სიმწრის ოფლი მასხავს. ეეჰ, თქვენ, ახალგაზრდებმა რა იცით, რაფერი ძალის მატარებელია სიყვარული. ხო, ხო, ახლა დაქაჩავთ თვალებს და იტყვით, ვინ ეკითხება ამ დედაბერსო, მარა რაც არ

უნდა იყოს, მაინც დიდი გამოცდილების ქალი ვარ და უნდა მკითხოთ რაცხა. კაი, კაი პირველ ჭორზე დევიწყებ ქაქანს. თურმე, ჩვენი ლამაზი ქეთა თოფურია და დათო ხუჯაძე საეჭვოდ დეიპრანჭებიან აქეთ-იქით. ამან ისე გამაოცა, რავარც თქვენ გაოცდით ჩვენი გაზეთის მეორე ნომრის ჩაგდებით. მე ქეთას დოურეკე და იმ კეკლუცუნამ ისეთი ორაზროვანი პასუხი გამცა, ვერ გევიგე, მართლა რაცხა ხდება მათ შორის, თუ ჭორია მხოლოდ. მეორე მხარეს ვერ დოუკავშირდი, კინაღამ გავლურჯდი რეკვით, მარა რად გინდა, მისი ხავერდოვანი ხმა მაინც ვერ გევიგონე. ისე მაინტერესებს, ისე მაინტერესებს ამ ამბის სისწორე, რომ ვკვდები პირდაპირ! ისე ნამეტანი ქე შემევიდა მოდაში შოუ-ბიზნესის მოღვაწეებს შორის ფანცქვალი, ამას თქვენც შეამჩნევდით. მოგწონთ თუ არა ეს, ძაღლი მაინც ყეფს და ქარავანი მიდის.

* * *

– ოო, ჩემო თვალხატულებო, ისე დოუღლელად მუშაობს თქვენი დეიდა ვასასი, რომ ნუ მეიკითხავთ. „რონდოს“ თმახუჭუჭა წევრი რომ არის, ლელა,

ხო, ხო, მაღალ-მაღალი შხვანთალა გოგო, იმას თურმე, ერთი უცხოელი ბიზნესმენი ეპრანჭება. ნუ იტყვით და ლელასაც ჩავარდნია გულში ეს ტიპი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ლელას „უცხოელი რაინდი“, თურმე მისი სიმღერებით მოუხიბლავს. ისიც დგას და უსმენს და უსმენს მომღერლის სიმღერას. იგი ქე არ ვიცი ახლა, რამდენად მეეწონება ეგ ამბავი ქალბატონ ლიზის, ერთი კი ფაქტია, ლელა თითქოს უკვე მოხიბლულია უცხოელი ბიზნესმენით. აპა!!!

* * *

– ისეთ მომწონს ჩვენი თამუნა ამონაშვილი, რომ პირდაპირ მისი ყურმოჭრილი მსმენელი

ვარ. მაგი რომ სიმღერას იწყებს, მე განაბული ვუზივარ ტელევიზორს და ვუსმენ ამ გუგულივით გოგოს. ისეთე, ან რა ტანი აქვს და ან რა მოვლილია, არა? თურმე თამუნას ძალიან ჰყვარებია გარუჯვა, თქვენ რომ „ზაგარს“ ეძახით. აუზზე ხშირად დადის და იმუქებს კანს, მარა საქმე იმაშია, რომ მომღერალმა ცურვა არ იცის თურმე. თამუნას წყლის შიში ჰქონია, ისე ოუტანია ამ შიშს, რომ ვერაფრით ვერ უსწავლია ცურვა. წყალში „კამერით“ ჩადის თურმე, ფრთხილად, დასველდება და ამოდის, სამაგიეროდ, მზეზე წოლა და გარუჯვა მისი ჰობია. მერედა, არ უხდება თუ რა?! ისეთი ეშხიანი ხდება, მე რომ ქალი ვარ, თვალს ვერ ვწყვიტავ და ნერწყვის ყლაპვით ვუყურებ. მერე ისე უხდება "კუპალნიკი", როგორც ტყემლის ხეს თეთრი ყვავილი. რას ვბუტბურობ ეს ბებერი ქალი, უიმე!

* * *

– „მაესტროს“ გადაცემებს მეც დიდი სიამოვნებით ვუყურებ. ახლა კი არ დამცინოთ, მერერა, რომ ასაკოვანი ქალი ვარ, მეც ხომ მინდა გართობა და ხალისობა. თურმე, „ტოროლას“ ნიკუშა ლომიძე და შოუ-ბალეტ „ვერნისაჟის“ ხელმძღვანელი



თეა გობეჯიშვილი ერთად დაფანცქვალებენ. ისინი ისე ხშირად შეინიშნებიან სხვადასხვა ადგილებში და ისეთ „ჩახუტებულ“ სიტუაციებში, რომ ეჭვი მართლა შეგეპარებათ. წყვილი „ფართებსა“ და „ტუსოვკებზე“ მოგვიანებით შემოდისო, გევიგე და ძალიან რომანტიკულ გარემოში ჩაჯდებიან თურმე და მერე მიდის იგი, ქერო ვიცით, „ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“. რომ კითხოთ, ვითომც არაფერი, მეგობრები ვართო, რანაირი მეგობრები არიან, მეგობრები და ასეთი ურთიერთობა არ გამიგია, იფ, იფ რა ცხელ-ცხელ ამბებს გაწვდით?!

* * *

– „უცნობს“ ვენაცვალე, კაი ვაუკაცი და კაი გულის პატრონი! ისეთ მიყვარს ეგ ბიჭი, ვერავის ვერ შევადარებ მთელს შოუ-ბიზნესში. ყოველთვის ისეთ რაღაცას გვთავაზობს, პირს გვაბჩე-



ნინებს ეს დალოცვილი. ახლა თურმე, გია რესტორნის გახსნას აპირებს. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ლამაზი იქნება მისი რესტორანი! ფანტაზიას არ უჩივის და გემოვნებას. ჰოდა, აბა, აწი ქე ელოდეთ ერთ კოხტა და ორიგინალურ რესტორანს „უცნობისგან“. მოკლედ, მე დაგტოვეთ და გევიქეცი ახლა, ახალი ამბების შესაგროვებლად, თვარა თქვენს პირში ჩემი მტერი ჩავარდა.

# კითხვა-პასუხი

**რ**ატომ დაშორდნენ ბრიტნი და ჯასტინი და ჰყავს თუ არა ბრიტნის შეყვარებული?

ლამარა მელიქიშვილი



პასუხი: ჯასტინმა ფილმ „გზაჯვარედინში“ ბრიტნის პარტნიორზე იეჭვიანა, მათ იჩხუბეს და დაშორების მიზეზიც ეს გახდა. ამჟამად, ბრიტნის შეყვარებული არ ჰყავს.

**რ**ამდენი წლისაა ემინემი?

თაკო, 15 წლის



პასუხი: ემინემი დაიბადა 1972 წლის 17 ოქტომბერს.

**რ**ამდენი წლისაა ჯენიფერ ლოპესი.

ლამარა მელიქიშვილი



პასუხი: JLO არის 32 წლის

**რ**ამდენი წლისაა დევიდ ბექჰემი.

მაკა, 13 წლის

პასუხი: დევიდი დაიბადა 1975 წლის 2 მაისს

**რ**ომელი ჯგუფი მოსწონს ენრიკე იგლესიასს ყველაზე მეტად?



პასუხი: ბრიტანული პოპ-როკ ჯგუფი „Travis“.

**მ**ართალია, რომ ბრედ პიტი ცოლს ეყრება?



პასუხი: ასეთი ინფორმაცია მართლაც გავრცელდა, მაგრამ ბრედმა იგი უარყო და აღნიშნა, რომ ეს უბრალო ჭორია.

**მ**ართალია, რომ ბრიტნი და ქრისტინა ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ?

პასუხი: მასმედია ამის შესახებ უკვე რამდენიმე წელია რაც საუბრობს, მაგრამ თავად ბრიტნი და ქრისტინა აცხადებენ, რომ ისინი კარგი მეგობრები არიან.

**რ**ამდენი წლისაა მადონა?

პასუხი: მადონა არის 43 წლის.

**ვ**ის მიიჩნევს ჯასტინ ტიმბერლეიქი დღესდღეობით ყველაზე მომხიბვლელ ქალად?



პასუხი: ცნობილ მსახიობს – ჰოლი ბერის.

**მ**ოხვდა თუ არა ბრიტნი სფირსი წელს ყველაზე უგემოვნოდ ჩამცმელთა სიაში?

პასუხი: არა, შარშანდელი წლისაგან განსხვავებით, წელს იგი ამ სიაში არ მოხვდა.

**რ**ოგორი ურთიერთობა აქვს JLO-ს პირველ ქმართან.

– მეგობრული. ოჯახი ნოა ჯენიფერის რესტორან „Madre“-ში მთავარ მენეჯერად მუშაობს.

**რ**ა გვარია შაკირა?



– მებარაკ რიპოლი.

**ვ**ყავს თუ არა და-ძმა ქრისტინა აგილერას?

პასუხი: ქრისტინას ჰყავს 6 წლის ძმა მაიკლი და 10 წლის და.

**ვ**ინ იყო მადონას პირველი ქმარი?

პასუხი: მსახიობი შონ პენი.

# ვის ვუყვარვართ და ფანები

## ქეთა თოფურია:

– ჩემი ყველა თაყვანისმცემელი ძალიან მიყვარს, მათი რაოდენობა დღითი დღე იზრდება, შესაბამისად უფრო და უფრო მეტი ფანი მირეკავს. ფიზიკურად ვერ ვახერხებ ამდენ ზარზე პასუხის გაცემას. ძალიან მიხარია, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით ისინი შემხვდებიან და ალბათ, მეტნაკლებად მიიღებენ ინფორმაციას ჩემს შესახებ. რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევას, მინდა ერთი ისტორია გავიხსენო. ერთხელ, ზუგდიდში ვიყავით და იქ ერთი გოგონა მოვიდა ჩემთან რომელსაც ქეთა ერქვა, რომ მომიახლოვდა ტირილი დაიწყო – მეუბნებოდა არ მჯერა, რომ ხელით შემეძლია შეგეხოო. შენ ხარ ჩემი კუმირიო. თურმე, ყველაფერში მბაძავდა – ვარცხნილობაში, ჩაცმის სტილში და ა.შ. ერთხელ, როდესაც კონცერტი დავამთავრე და სახლში მოვდიოდი, სახლის კარებთან იმ კონცერტზე გადაღებული ფოტოები დამხვდა. განცვიფრებული ვიყავი, როგორ მოახერხა სურათების ავტორმა ასე ოპერატიულად მათი დაბეჭდვა. უამრავ საჩუქარს მჩუქნიან. აქედან გამომდინარე, ახალ სახლში რომ გადავალ ერთ ოთახში სულ მათ საჩუქრებს შევინახავ და როცა ცუდ ხასიათზე ვიქნები, თითოეულ მათგანს მოვეფერები და გამახსენდება, რომ მათ მე ვუყვარვარ.

## დუტა სხირტლაძე:

– კარგა ხანია ფანებს არ შეუწუხებივარ. ადრე საშინელ დღეში მაგდებდნენ. სახლში მირეკავდნენ და მოსვენებას მიკარგავდნენ. ხშირად როდესაც ჩემი ცოლი იღებდა ყურმილს ათასგვარ სისულელეს ეუბნებოდნენ, მათ შორის ყველაზე აქტუალური ფრაზა იყო – „მე დუტასგან შვილს ველოდები". ამან რა თქმა უნდა საშინლად გამაღიზიანა, თანაც მსგავსი ზარი დღეში რამდენიმეჯერ მეორდებოდა. ბოლოს უკვე გინებაზეც გადავედი. ყოველივე ამის გამო, ერთი პერიოდი ტელეფონს არ ვპასუხობდით. შემდეგ კი ყურადღებას არ ვაქცევდი. საბედნიეროდ, უკვე იკლო აბე ზარი ფანების ზარებმა. მეც დავისვენე და მათაც მოაკლდათ ერთი კახელი კაცის გინება.



## თამთა გოგუაძე:

– ფანებთან ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს. ისინი ხან სახლში მირეკავენ, ხან მობილურზე. მიუხედავად იმისა, რომ მობილურის ახალი ნომერი მაქვს, მაინც ახერხებენ ჩემთან დაკონტაქტებას. კონკრეტულად საჩუქრის ისტორიის გახსენება არ შემიძლია, მაგრამ ბევრ ორიგინალურ ნივთებს მჩუქნიან. ჩემი თაყვანისმცემლები ძირითადად გოგონები არიან, თანაც პატარა ასაკის. არასოდეს ვეუბნები მათ უარს ავტოგრაფსა და ფოტოს გადაღებაზე.

## ლელა ოთარაშვილი „ეროვნული ბანკი"

– ჩვენი ფანები ყოველთვის ბევრ ვიცინ, მოდიან და ეუბნებიან, რომ ძალიან ვუყვარვართ და მათთვის მნიშვნელოვანია ჩვენი ყოველი წარმატებული ნაბიჯი. მე გამოვყოფდი თინეიჯერების ჯგუფს, რომლებმაც კლიპი გადაიღეს ჩვენს სიმღერაზე „სცენის დედოფალი". ეს ბავშვები 55-ე სკოლის მოსწავლეები არიან. ისინი ტელევიზიაში დაუკავშირდნენ სპეციალურ გადამღებ ჯგუფს და პროფესიონალურ დონეზე გადაიღეს ვიდეო-რგოლი, რომელშიც ჩვენს როლს ასრულებდნენ. ყველა კადრი თითქმის ისე იყო გაკეთებული გეგონებოდათ ჩვენი კლიპიაო. ამან ძალიან გაგვაოცა. ერთ-ერთ ჩვენს ფანს ჰქონდა დაბადების დღე, რომელიც „ბოულინგ-ცენტრში" გადაიხადა. დაბადების დღეზე დაგვპატიჟეს მთელი ჯგუფი, მაგრამ სამწუხაროდ ყველამ ვერ მოახერხა წამოსვლა და მივედი მხოლოდ მე. მათგან იმხელა სიყვარული და პატივისცემა ვიგრძენი, რამაც ძალიან აღმაფრთოვანა. მე თან მახლდა ორი მეგობარი, რომლებიც გაოცდნენ ნანახით. ბავშვებმა საოცრად თბილი სიტყვები გაიმეტეს ჩვენთვის: – დღე თქვენით იწყება და თქვენით ღამდებაო, გვეუბნებოდნენ. ბავშვები, რომლებიც ჩვენს უბანში ცხოვრობენ ამაყობენ იმით, რომ ჩვენი მეზობლები არიან. ხშირად მოდიან აკაკუნებენ კარზე და გვთხოვენ სურათის გადაღებას. ერთხელ, ერთმა ფანმა კონცერტზე თაიგულთან ერთად ლექსი გამომიგზავნა.

„გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას
რამდენი კილოც ვარ იმდენ ახალ წელს დაესწარით
ას ექვსი კილო ვარ, მე მგონი გეყოფათ
თქვენი გულისთვის გავსუქდები
ასი წლის შემდეგ მე თქვენ გიგალობთ
ათას წელს გაძლებს თქვენი მშვენება
თქვენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება".

მაიკოს კარებთან ძალიან ხშირად ხვდება უცნობი ფანების თაიგულები. მე ერთხელ სახლში მოსულს მეზობელმა დამახვედრა ყუთი, რომელშიც ნამცხვრები ეწყო. თურმე ერთ-ერთ ფანს მოუტანია და ლელას გადაეცინოთ უთქვამს. მოაქვთ შოკოლადებიც. ერთმა ჩვენმა ახლობელმა თორნიკემ, ერთ-ერთ საღამოზე მითხრა, რომ მეორე დღეს სტუმრებს უნდა დავლოდებოდი. მეორე დღე 14 იანვარი იყო, ანუ ახალი წელი და ბუნებრივია სტუმარი ისედაც მოვიდოდა. ასე, რომ ყურადღება არ მიმიქცევია თორნიკეს ნათქვამისთვის. „სარაჯიშვილის" კონცერტის შემდეგ საოცრად დაღლილები მივედით შინ და მეორე დღის 12-საათამდე მეძინა. ამ დროს, კარზე კაკუნის ხმა გაისმა. კარი ნახევრად მძინარემ გავაღე და ჩემდა გასაოცრად ზღურბლთან ფოტოგრაფი შევნიშნე. – მე თქვენთან გამომგზავნეს ფოტო უნდა გადაგიღოთო. პირველად ვერ გავერკვიე რა ხდებოდა, მაგრამ მერე გამახსენდა თორნიკეს ხუმრობა და მივხვდი, რომ ეს შტატივიანი ფოტოგრაფიც მისი გამოგზავნილი იყო. აი, ასე მილამაზებენ ცხოვრებას ფანები.

## სტეფანე მღებრიშვილი:

– ჩემს ფანებთან არანაირი კონტაქტი არა მაქვს. მათ ჩემი მობილურის ნომერი არ იციან, ის სრულიად გასაიდუმლოებულია. სახლის ტელეფონზე კი შემომავალი ზარი გათიშულია და აქედან გამომდინარე, მე მათ ვერ ვეკონტაქტები. საჩუქრებს ძირითადად კონცერტის დროს მაძლევენ და ძალიან მიხარია. მე ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ფანებისთვის ჩაკეტილი ვარ. ვკონტაქტობ მათთან მაშინ როცა ამის საშუალება მაქვს. მიმაჩნია, რომ უკეთესი იქნება ახალი სიმღერები შევთავაზო მათ, რადგანაც ვიცი, რომ ჩემი შემოქმედება ძალიან უყვართ.

## ნინი ქარსელაძე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ჩემი ფანები თავს არ მაბეზრებენ, მაგრამ დროის დეფიციტის გამო ყველას ვერ ვეკონტაქტები. ქუჩაში რომ მცნობენ, ბედნიერი და ამაყი ვარ. საჩუქრებს ბევრს მჩუქნიან, ძირითადად სათამაშოებს. ერთხელ, მახსოვს ისეთი საყვარელი სათამაშო მაჩუქეს, რომ ჭკუაზე არ ვიყავი. ავტოგრაფზე არასოდეს არ ვეუბნები უარს. ფოტოებსაც ვიღებ მათთან ერთად. ჩემი ფანებისგან არასოდეს დავიღლები, რადგანაც სიმღერა ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა. მე ძალიან მიყვარს ეს საქმე.

## ცისანა სეფიაშვილი:

– ფანებთან კარგი დამოკიდებულება მაქვს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათთვის თავი ამერიდებინოს ან ქუჩაში დავმალულიყავი. ვფიქრობ, რომ ჩვენ იმ ხალხისთვის ვარსებობთ, რომლებსაც ჩვენ ვუყვარვართ. ჩვენი შემოქმედება არაფერი იქნებოდა, მათ რომ არ ვუყვარდეთ. არასდროს არ ვამბობ უარს მათთან ერთად ფოტოს გადაღებაზე ან ავტოგრაფის მიცემაზე. ისინი უამრავ საჩუქარს მჩუქნიან, უფრო მეტად კი რბილ სათამაშოებს, რადგანაც იციან რომ ძალიან მიყვარს. მსიამოვნებს როცა რეკავენ ჩემთან. ამ ბოლო დროს გზა-კვალი აერიათ, რომ გავთხოვდი აღარ იციან სად დამირეკონ. ვფიქრობ, სირცხვილია თუ შენ შენი თაყვანისმცემლების მიმართ აგრესიულობას გამოიჩენ.

## ვანო ფირცხალაიშვილი (ჯგუფი „ინტრო“):

– ჩემი ფანები ძირითადად გოგონები არიან, მათთან ტელეფონზე საუბარი მსიამოვნებს. ადრე ვუთიშავდი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ უზრდელობა იყო. ისინი რაიონებიდანაც კი მირეკავენ, მაგალითად, ბოლოს გორელ გოგოს ველაპარაკე. საჩუქრებს რაც შეეხება, რაღაც არ მახსენდება. კონცერტების მერე კი უამრავი ფანი გვეხვევა ხოლმე თავს. ზოგი ავტოგრაფს გვთხოვს, ზოგი ფოტოს გადაღებას. თუ სადმე არ მეჩქარება უარს არასოდეს ვეუბნები. ვისაც ჩემი სიმღერები უყვარს, მეც ისინი მიყვარს.

## ჭრელა-ჭრელი ამბები

მომღერალმა აჩი მეფარიძემ კომპოზიტორსა და თავის მეგობარს რუსა მორჩილაძეს იტალიიდან ბეწვით დამშვენებული სიმპათიური ქურთუკი ჩამოუტანა. სამწუხაროდ, ქურთუკი ოდნავ ვიწრო აღმოჩნდა და რუსა მას იშვიათად, თხელ სამოსზე იცვამს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, კლიპისთვის „გატეხილი გული“, დათო გომართელმა მოტოციკლეტი სპეციალურად დაამზადებინა. იგი აბსოლუტურად ისეთივეა, როგორიც დათოს სურდა. მანამ, სანამ კლიპის გადაღებამდე მივიდოდა საქმე, მომღერალმა ჯერ თვითონ თბილისის გარეუბნებში „გაატარ-გამოატარა“ თავისი ტრანსპორტი, რათა დარწმუნებულიყო, შეიძლებოდა თუ არა მისი გამოყენება. რეზულტატი სახეზეა, ანუ მოტოციკლეტი ფორმაში აღმოჩნდა.



თურმე, თამუნა ამონაშვილი ისე ხარისხიანად კერავს და ისე ოსტატურად, რომ მის ნახელავს ვერაფრით გაარჩევთ უცხოური მარკის ტანსაცმლისგან. ხშირად ჰგონიათ, რომ მომღერალს საზღვარგარეთ შეძენილი ტანისამოსი აცვია, მაგრამ თამუნა თავს იწონებს ხოლმე მისი უზადო ნამუშევრით. იგი თავის დისშვილსაც უკერავს. ასე რომ, დეიდა-დისშვილი ორიგინალური „ზმანებით“ დადიან.

ჩვენ შოუ-ბიზნესში რა აღარ ხდება. განსაკუთრებით კი კულუარული ჭორები იმდენად საინტერესოა, რომ რაც უფრო მეტს კითხულობ, მით უფრო მეტი გინდა რომ გაიგო. თურმე, “მამულიჩას” შვილს, პატარა მარიკოს ისე ჰყვარებია სოსო თოლორაია, რომ მის არც ერთ გადაცემას არ ტოვებს. ჭკუამხიარულ წამყვანს კი ამით უსარგებლია და “მამულიჩასთვის” “ჯიპის” ჩუქება უთხოვია. შეგახსენებთ, რომ ლელას მეუღლე აპირებდა აუქციონზე გაეყიდა მომღერლის ნაქონი მანქანა.

## ჭრელა-ჭრელა ამბები

სინგლ „Dilemma“-ს გამოსვლის შემდეგ, ნელისა და კელი როულანდის რომანი უკვე საქვეყნოდ გახდა ცნობილი. სხვათა შორის კელი ნელის ამ სიმღერის ტექსტშიც კი უხსნის სიყვარულს და ეუბნება: „Nelly I Love You“-ო. რაც შეეხება ნელის, იგი გელ-ფრენდს ახალი სიმღერის დაწერაში ეხმარება და სწორედ მისი წყალობით კელი დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მომღერალი ქალი ხდება.



პოპ მომღერალმა მადონამ უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ინგლისში ცხოვრება მობეზრდა და საცხოვრებლად ამერიკაში, კერძოდ კი ლოს-ანჟელესში აპირებს გადასვლას. „ლონდონში თავს კომფორტულად ვგრძნობ თანაც ეს გაის მშობლიური ქალაქია“ – თქვა მადონამ. სხვათა შორის მადონა მესამე ბავშვზეა ფეხმძიმედ და მალე იგი რიჩის მეორე შვილს აჩუქებს, რადგან პირველი ქალიშვილი ლურდესი მან სხვა მამაკაცისგან გააჩინა.

მომღერალმა ჯასტინ ტიმბერლეიქმა ტურნეს დროს მისი პარტნიორი ქრისტინა აგილერა დაახასიათა და თქვა: „ბავშვობაში ქრისტინა ჯიბიდან გავარდნილი ხულიგანი იყო, შემდეგ მას უმწიკვლო გოგოს იმიჯი შეუქმნეს. ახლა კი, ალბომით „Stripped“ (გახდილი) მან თავისი ნამდვილი სახე გამოავლინა. ქრისტინა საკმაოდ ნიჭიერი მომღერალია და მე მისი მჯერა“. სხვათა შორის ტიმბერლეიქი აგილერას მართლაც ძალიან კარგად იცნობს, რადგან ისინი ერთად ჯერ კიდევ ბავშვობაში „Mickey Mouse Club“-ში მღეროდნენ.

# ფანების მადლიერი და უმადური ვარსკვლავები

წინა ნომერში თავიანთ ფანებზე შოუ-ბიზნესის ყველაზე პოპულარულმა ვარსკვლავებმა ისაუბრეს, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმა კიდევ ბევრმა ცნობილმა შემსრულებელმა ვერ მოახერხა. ამის შესაძლებლობას კი მათ ჩვენ სწორედ დღეს ვაძლევთ. ვნახოთ რას იტყვიან ეს მომღერლები იმ მილიონიან ადამიანთა არმიაზე, რომლის წყალობითაც სულდგმულობენ და დიდ სცენაზე დგანან.

**ჯასტინ ტიმბერლეიძი:** მე ფანების ნაკლებობას არც N'sync-ში მოღვაწეობისას განვიცდიდი, მაგრამ სოლო კარიერის დაწყების შემდეგ, უამრავი ახალი თაყვანისმცემელი შევიძინე. მე მათთან ჩემი პერსონალური ვებ-საიტის საშუალებით ვკონტაქტობ. მათ კითხვებს პასუხს ზოგჯერ მე ვცემ, ზოგჯერ კი ჩემი პრეს-ატაშე.

**ANASTACIA** – ჩემს ფანებზე კარგის მეტი არაფერი მეთქმის, რადგან მათგან მართლა დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ. ეს კი ახლა ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ჩემი თაყვანისმცემლები ხშირად ლამაზ საჩუქრებსაც მიკეთებენ ხოლმე. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა "იკრენ ლორანის" დიდი სუნამო მაჩუქა, რომელსაც თან სასიყვარულო ბარათიც მოჰყვა. ერთმა ფანმა კი "არმანის" შესანიშნავი სათვალე მაჩუქა. ეს ბიჭი, ჯონ გეითასი უკვე რამდენიმე წელია რაც ჩემი ფანია. მან იცის, რომ სათვალეებს ვალმერთებ, მათი კოლექცია მაქვს, ამიტომ საჩუქარიც ზუსტად შეარჩია და ძალიან მასიამოვნა.

**ძაილი მინოუგი:** ფანებთან ჩვეულებრივი, ნორმალური დამოკიდებულება მაქვს. ნელს ჩემს ყველაზეაქტიურ და ერთგულ სამ ფანს სიურპრიზი მოვუწყვე და მათ ჩემს ევროპულ ტურნეზე ჩემთან ერთად იმოგზაურეს. ვთვლი, რომ შემსრულებელი ფანებს ხშირად თუ არა, ხანდახან მაინც უნდა შეხვდეს და მათ აგრძნობინოს, რომ მათი კუმირიც ჩვეულებრივი ადამიანია და მასაც შეუძლია მიღებული სიყვარულის საპასუხოდ სითბო გასცეს.



აღსანიშნავია, რომ ფანებს ყოველთვის დიდი სიამოვნებით ხვდება მომღერალი მერაია ქერი, რომელმაც გასულ კვირას თავის თაყვანისმცემელთა ვიწრო წრეს მოუყარა თავი და მათ მინი, ცოცხალი კონცერტი გაუმართა. კონცერტზე შესრულდა როგორც ძველი, ისე ახალი ჰიტები, დარბაზში ძალიან მეგობრული და თბილი ატმოსფერო სუფევდა, რის გამოც, ორივე მხარე ძალიან კმაყოფილი დარჩა.



ფანებისადმი თავიანთ ჰუმანურობით გამოირჩევა კოლუმბიელი მომღერალი შაკირა, რომელიც მათ ძალიან ხშირად ლამაზ სიურპრიზებს უმზადებს ხოლმე. საახალწლოდ მომღერალმა მატერიალურად გაჭირვებულ ფანებს ახალი და მოდური ტანსაცმელი ჩამოურიგა და ისინი ძალიან გაახარა.

ამერიკულმა პროგრამა „TRH“-მა და ფანებს რეპერი ვარსკვლავი JLO შეახვედრა. ჯენიფერი „ტრასა“ და „შლაქსებ“-ში გამოცხადდა და თაყვანისმცემელთათვის საინტერესო კითხვებს გასცა პასუხი. ამ კითხვებიდან გაირკვა, რომ ლოპესი კრის ჯადს უკვე ოფიციალურად გაეყარა და ახლა უკვე თავისუფლად შეუძლია ეფლეკის ცოლი გახდეს.



ამის შემდეგ, თავად JLO-მ დაუსვა ფანებს კითხვები და გოგონამ, რომელმაც თავისი კუმირის შესახებ დასმულ ყველა კითხვას სწორად გასცა პასუხი, საჩუქრად ლოპესის ახალი დისკი „This Is Me“ მიიღო.

გადაცემის დასასრულს თაყვანისმცემლებმა ჯენიფერს თავისი ჰიტის „Jenny From The Block“-ის ცოცხლად შესრულება სთხოვეს, მაგრამ მომღერალმა მათ ეს სურვილი არ აუსრულა და დაცვის თანხლებით მალევე დატოვა იქაურობა. როგორც ამბობენ, JLO ცოცხლად ძალიან ცუდად მღერის და ამის სახალხოდ დემონსტრირება არ მოისურვა. მართალია ფანები განაწყენებულნი დარჩნენ, მაგრამ ამის მიუხედავად, მათ შემდეგი რამ თქვეს „JLO ნომერ პირველია, ამაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება.“ აი ფანებიც ამას ჰქვია.

მოამზადა
თამთა მჭელიშვილმა

# ანეკდოტები

* * *

სვანს შუა უდაბნოში მანქანა გაუფუჭდა. კარი მოხსნა, ხელში დაიჭირა და ფეხით გააგრძელა გზა, – თუ ძალიან დამცხა, მინას ჩამოვწევო.

* * *

– შენი ძმა რატომ აღარ გაკითხავს? – ეკითხება დიასახლისი ახალგაზრდა სტუდენტ გოგონას.

– ალბათ სხვა „და“ იპოვა... – ოხრავს გოგო.

* * *

ჩუქჩას ეკითხებიან:

– თქვენ ტელევიზიაში მოსკოვის არხი არის?

– არა, ჯერ კიდევ გაგვყავს!

* * *

სასწრაფოდ გვესაჭიროებიან ტყუპი დები, რომლებიც წონით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან – მიმდინარეობს გახდომის ახალი მეთოდიკის რეკლამირება.

* * *

სვანი მიდის ქუჩაში. ხედავს ტროტუარზე ფული აგდია. სასწრაფოდ დათვალა. ეჰ, მაკლდება!!!

* * *

სატელეფონო ზარი სამშობიაროში:

– ექიმო, საღამოს თქვენთან ქალიშვილი მოიყვანეს, ხომ ვერ მეტყოდით ვინ შეეძინა?

ექიმი პასუხობს:

– ჩვენთან ქალიშვილები არ მოჰყავთ!

* * *

პატიმარი კამერაში ხმამაღლა მღერის, გაღიზიანებული ზედამხედველი ეკითხება:

– რა გამღერებს?

– „უცნობი“ ვარ.

– რაღა უცნობი ხარ, მეშვიდე „სროკზე“ ზიხარ...

* * *

– გიტარაზე დაკვრას აღარ სწავლობ?

– არა, არაფრით არ გამომდის – ხუთი თითი მაქვს, სიმი კი ექვსია.

– აზრზე ხარ, პიანინოზე რა მუტანტები უკრავენ?

* * *

ცოლი ეკითხება ქმარს:

– რატომ ამბობ, შეფი კარგ გუნებაზე იყო, როცა ტელეფონის მომატება ვთხოვეთ, რა გორ მიხვდი?

– კინაღამ სიცილით მოკვდა...

* * *

მამაკაცი პუბის მაღაზიაში შედის. დიდ, ტანგიანდურ-ცანა გამყიდველს ჩაეცინა და გაბრაზებული ეუბნება:

– აი, რა ვიპოვე თქვენს პურში!

– აბა რა გინოდათ, 50 თეთრად კომპიუტერი ჩაგვედო?

* * *

– ეს შარვალი თქვენზეა ზედგამოჭრილი – აქებს თავის საქონელს გამყიდველი.

– დიახ, მადლობელი ვარ, მაგრამ მაინც მეჩვენება, რომ იღლიაში მიჭერს.

* * *

ცნობილი რეჟისორი მიმართავს დამწყებ მსახიობს:

– თუ თქვენ ამ როლს შეასრულებთ, მომავალ წელს „ოსკარი“ გარანტირებული იქნება!

– გოგო რომ იყოს?

* * *

# სკანვორდი



პამელა ანდერსონ ...

მწვადის შესაწველი მოწყობილობა

ყმა

„მამულიჩას“ ნამდვილი სახელი

ძროხის ნაშიერი

მშვილდით სასროლი

მძორი

ჩვენებითი ნაცვალსახელი

მდინარე რუსეთში

„მინაა“ ავტორი

ვულკანიდან ამოფრქვეული მინა

ქვეყანა აზიაში

ერთგვარი კავშირი

ქვირფასი ქვა

„მეალომანიის“ წამყვანი

იტალიელი მხატვარი

ქართველი კლიპმეიკერი

ჩოჩორი „ვინიპუხიდან“

ხის სახლი დას.საქ-ში

ერთიანი ნარდში

... დეიმონი

ერთგვარი მცოცავი მცენარე

„ვარდისფერი“ მომღერალი

... ასათიანი

მზის ღმერთი ეგვ.მითოლოგიაში

მტაცებელი ფრინველი

ერთგვარი მარგარინი

ვაჭარი ძველ თბილისში

ცხვრის ჯოგი

... კარტერი

ფრანგ მეფეთა სახელი

მამაკაცის ერთგვარი სამოსი

ნარნარი ფრენა

ბუნებრივი საღებავი

ჭრილობა

ცხენის გასაჩერებელი სიტყვა

მსხლის ჯიში

გაზაფხულის ყვავილი

ყაჩაღი

ერთგვარი ფესტივალი

ძე ანუ ასული

ვარდობისთვე

ერთგვარი ხე

მღვდლის სამოსი

ძაღლის ჯიში

სამი მომღერალი

... ელიავა

თვალის ფერადი გარსი

ერთგვარი საკრავი

ყვავილების კონა

ერთ-ერთი კონტინენტი

წყალში მცურავი ყინულის მთა

თოფის ნაწილი

ცნობილი ფილოსოფოსი

ნელთბილი

ქუთაისის ძველი სახელი

ნივი

მგალობელი ფრინველი

... ტაილერი

მომღერალი ... ვაიკულე

ოტავა — ქვეყანა



ერთგვარი ყვავილი

ბიბლიური პერს.

გამარჯობა ესპანურად

სამკურნალო მცენარე

ფრანგული ხურდა

წყლის ორმო

ადამიანის სხეულის საფარი

... მაღლაკელიძე

# ანეკდოტები

მიხოს სახლიდან დააბარეს, ჭიკარტები იყიდეო. საკანცელარიო მაღაზიაში შევიდა და გამყიდველს უთხრა:

– აგე, ის მომეცი!

– ის რა არის, კაცო სახელი არ უნდა თქვა? – გაბრაზდა გამყიდველი.

– აგე ის, მიჰკა-მიატკაცუნე რომ არის!

– გააგებინა მიხომ.

* * *

**რატომ აწვენთ თქვენს პატარა ბიჭს ამ სიმაღლე საწოლზე? – ჰკითხა სტუმარმა მასპინძელ ქალს.**

**– გადმოვარდნის ხმა რომ გავიგოთ. მე და ჩემმა ქმარმა ღრმა ძილი ვიცით – აუხსნა ქალმა.**

* * *

ბაბუა ეკითხება პატარა ანას, – ბაბუ, რომ მოვკვდები, ხომ მიტირებ?

შვილიშვილი სხარტად პასუხობს: კი, ბაბუ, დედას გიტირებ!

* * *

**– ბებია, ფიში მინდა!**

**– ეგრე თქმა სირცხვილია. ხომ შეიძლება სტუმრებთან ვიყოთ... ამიტომ მითხარი დასტვენა მინდა-თქო.**

**შუაღამისას ბავშვი იღვიძებს:**

**– ბაბუა, დასტვენა მინდა.**

**– მერე, ახლა ყველას სძინავს.**

**– ძალიან მინდა.**

**– მაშინ მოდი აგერ და ჩემს ყურში ჩუმად დაუსტვინე.**

* * *

მიტუა ამხანაგს ეტრაბახება:

– ტაქსი მოვატყუე მაგრადა.

– ეგ როგორ, ჯოვ?

– ფული მივეცი და არ კი გავყევი.

* * *

**მწვრთნელი სვანებს ფეხბურთის თამაშის წესებს უხსნის. ბოლოს მათ დამოძღვრას ამ სიტყვებით ამთავრებს:**

**– გახსოვდეთ, ბიჭებო, თუ ბურთს ვერ მოარტყით ფეხი, მაშინ მოწინააღმდეგეს ურტყით ფეხებში. აბა, დავიწყოთ! სად არის ბურთი?**

**– ბურთი რად გვინდა? პირდაპირ თამაში დავიწყოთ.**

* * *

ორი სვანი კბილის ექიმთან მივიდა. ერთი რომ გამოვიდა, მეორემ ჰკითხა:

– კიდევ გტკივა კბილი?

– არ ვიცი, ექიმმა კბილი თავისთან დაიტოვა.



* * *

ჭიჭიკია ბიჭიკიას სიგარეტს ითხოვს:

**– რა კარგი სიგარეტია, სიმონ, სად იშოვე?**

**– მაგი შენ იშოვე, თვარა, მე ფული მაქვს გადახდილი! – პასუხობს ბიჭიკია.**

* * *

სვანი ენგურის სათავით დაინტერესდა, მიჰყვა და შავ ზღვას მიადგა. ზღვა რომ დაინახა, თქვა:

– ამდენ წყალს რა გამოლევს, რა ტყუილად ვნერვიულობდი, ენგური არ დაშრესო...

* * *

**მასწავლებელი ეკითხება პატარა მიტოს:**

**– ამიწერე კენგურუ!**

**– კენგურუ ცხოვრობს ავსტრალიაში, მუცელზე ჩანთა ჰკიდია, რომელშიც მაშინ იმალება, როცა შააშინებენ...**

* * *

# სკანვორდი







ეპოქა
ქართული მულტფილმის პერსონაჟი
ნორვეგიის დედაქალაქი
კვამლი
ქალიშვილი
მდედრობითი სქესის ადამიანი
რქის პრეფიქსი
ნესტა
„... ია“
ზღვეტად მარილიანი
ერთ-ერთი ნაცვალსახელი
ერთგვარი დაცინვა
... ნეშაკე
სალაპარაკი
შაეი ფრანველი
ბერეტი
ბილეთარი პერსონაჟი
ვოვლ. ... ველაკე
ქარში გაბანილი ბურთი
ნელზე შემოსარტყამი
მათემატიკური ფუდმივა
კინოთეატრი თბილისში
„ლამის ჯერ-ერის“ ყოფ. ნაცვალი
ბავშვი, ანუ
თეთრეულეების სახეობა
ერთეულად. ორგანიზმში
ნაცია
ლამის ფრანველი
ქალის სახელი
კოვში
„ნი წუთის“ ნაცვალი
საყვლის დროებითი შეზღუდვა
ქალის საკოსი
ტყის ხელი
საოჯახო ნივთი
შალის ბატარ
ჯარი
სარისტი
ერთგვარი ნაცვალი
ერთ-ერთი ფიტრეში
სასწორის ზომაბარი
ბაკარი ქუთაისში ლაკეთ ალგებენა.)
ქიმიური ელემენტი
„უინლის დედოფალი“ პერსონაჟი

# ს ჯ ა ნ ვ ო რ ნ ო

## ერთვნული ბიბლიოთეკა

მსახიობი ... ქარი

ალეკ ბოლდუინის ცოლი

„კაცია ადამიანი?!“ კერესონავი

ზეთოვანი აზიაში

თევზის ყვავ-და ნაწილი

ნერილი

მახვილი

უნახავი

ცეცხლის ბათი ნაწილი

ხელის ვადა

ქალის სახელი

ლეონის პროდუქტი

დღის ანტონიმი

ღამის ბათოლი

ნახევრად მოსარეული ყვავილი

მტაცებელი ფრინველი

ქერქი. ანა

„ბიჭი“ თვე

ქართული ჯგუფი

შინაური ცხოველი

ქრისტიანული დღესასწაული

... ბერეი

„სიგრძე სიცრუისა“ ავტორი

ბოს. ნოტი

ეროვნულ-რელიგიური ჯგუფი

ფეოდალი ლეონ

რამდენს მონდომებულ. ნაწილი

ქალაქი ყარსოლში

სილის მაგარი ნაწილი

თათარული ამოვლებული ნიგოზი

„ერთი დღე“ – მოთ-ხრილი

ვარსხნილობის საბილი


გაზეთი “ფან-კლუბი” საშუალებას გაძლევთ პირისპირ შეხვდეთ თქვენს საყვარელ მომღერალს –

**ქეთა თოფურიას.**

ამისათვის საჭიროა შეაგროვოთ ის ბარათები, რომელსაც ჩვენი გაზეთი პერიოდულად გამოაქვეყნებს და ის, ვინც შეაგროვებს ციფრებს 1, 2, 3, 4 და მიიღებს მონაწილეობას გათამაშებაში, რომლის პირობებიც გამოქვეყნდება გაზეთ “ფან-კლუბის” მე-4 ნომერში, გამარჯვებული დასაჩუქრდება ბილეთით, რომლის საშუალებითაც იგი პირისპირ შეხვდება ქეთას ჩვენს რედაქციაში.


**3**

“ფან-კლუბი”
№3, 2003

## ყურადღება!

ნებისმიერი კითხვა, რომელიც გსურთ დაუსვათ თქვენთვის საყვარელ პიროვნებას და შესაბამისად მიიღოთ პასუხი, უნდა ჩაანერინოთ გაზეთ “ფან-კლუბის” ოპერატორს ორშაბათს ან პარასკევს 14-დან 15 სთ-მდე. წერილები კი გამოგზავნეთ მისამართზე: კოსტავას 14, მე-2 სართ., გაზეთი “ფან-კლუბი”

## აბა, გამოიცანი







მათ, ვინც გამოიცნობს ვინ არიან გამოსახულნი ამ ფოტოებზე, დაგვიკავშირდით ორშაბათს, 15 საათზე. ტელ: 98-95-79